ENERGO-PRO

ენერგო-პრო ჯგუფი

მდგრადი განვითარების პოლიტიკა

2023

ENERGO-PRO

1. შესავალი

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ჰიდროენერგეტიკის სექტორი. ჩვენ ოპერირებას ვუწევთ ჰიდროელექტრო სადგურებს როგორც ევროპაში, ასევე შავი ზღვის რეგიონსა და კავკასიაში. ასევე ჩართული ვართ ელექტროენერგიის დისტრიბუციასა და ელექტროენერგიით ვაჭრობაში, ოპერირებას ვუწევთ რა მსხვილი მასშტაბის სადისტრიბუციო ქსელს ბულგარეთსა და საქართველოში.

ჩვენი კომპანია დაფუძნდა 1994 წელს ჩეხეთის რესპუბლიკაში, ქალაქ სვიტავიში, ეკონომიკური გარდამავლობის პერიოდში, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ჰიდროელექტროენერგიის მოდერნიზაციასა და რეაბილიტაციის პროცესში მონაწილეობით.

მულტინაციონალური ENERGO-PRO ჯგუფის, რომლის სათავო ოფისი პრაღაში მდებარეობს, ერთი ნაწილია წყლის ტურბინების სლოვენიური მწარმოებელი - Litostroj Power d.o.o -., მნიშვნელოვანი პროექტებით კანადაში, ეგვიპტესა და ისლანდიაში. Litostroj Engineering a.s., რომელიც დარეგისტრირებულია ჩეხეთის რესპუბლიკაში (ცნობილი როგორც CKD Blansko Engineering a.s.), ფოკუსირებას ახდენს მოკვლევებზე, პროექტირებასა და საინჟინრო სამუშაოებზე. Litostroj Group ასევე ამარაგებს ჰიდროელექტროსადგურებს მოწყობილობით, ჰიდრომაკუმულირებელი და სატუმბი სადგურების ჩათვლით.

ENERGO-PRO ჯგუფი აქტიურადაა დაინტერესებული მდგრადი განვითარებით და იმ ზონების მოსახლეობის კეთილდღეობით და დაცვით, რომელზეც გავლენას ახდენს ჩვენი ინვესტიციები. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ის პოლიტიკა და პრაქტიკა, რომელსაც დღეს ვამტკიცებთ, აყალიბებს არა მხოლოდ ჩვენს, არამედ მომავალი თაობების ცხოვრებას. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მდგრადობის საკითხების ინტეგრირება ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში.

წინამდებარე პოლიტიკის მიზნების მისაღწევად, ENERGO-PRO ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო წესდებით, გარემოს დაცვის საერთაშორისო კონვენციებით, კარგი საერთაშორისო ინდუსტრიული პრაქტიკით (GIIP - Good International Industry Practices) და კლიმატის ცვლილების დაძლევაზე მიმართული ძალისხმევით (ჩარჩო შეთანხმება და პარიზის შეთანხმებები), ასევე საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის (ILO) კონვენციებით.

2. მიზნები და ამოცანები

აღნიშნული დოკუმენტის მიზანია წარმოადგინოს ჩვენი ვალდებულებები მდგრადი განვითარების მიმართ. იგი აღწერს ლიდერობის, გარემოს და ბიომრავალფეროვნების, კლიმატის ცვლილების, საზოგადოების და ადამიანური რესურსების მიმართ ვალდებულებებს. მდგრადი განვითარების პოლიტიკა ვრცელდება კომპანიის ყველა აღმასრულებელზე, სრულიად მენეჯმენტზე, თანამშრომელზე, კონტრაქტორსა და ქვეკონტრაქტორზე.

საერთო მიზნები და ამოცანებია:

- მდგრადი განვითარების საუკეთესო მართვის პრაქტიკის გამოყენება ჩვენი საქმიანობების დაგეგმარებაში, დაპროექტებაში, მშენებლობასა და ოპერაციებში;
- კონტრაქტორების და მათი ბიზნეს საქმიანობის პასუხისმგებლობის გაცნობიერება, რათა პატივი ეცეს ადამიანთა უფლებებს, როგორც მდგრადი განვითარების განუყრელ ნაწილს;
- ადამიანთა უფლებების გაერთიანებული ერების საყოველთაო დეკლარაციის და უსაფრთხოებასა და ადამიანთა უფლებებზე ნებაყოფლობითი პრინციპების მხარდაჭერა;
- ადგილობრივი კულტურის, თანამშრომლებთან ურთიერთობებში ჩვეულებებისა და ღირებულებების, საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების პატივისცემა;
- უზრუნველყოს შეღავათების სამართლიანი და ინკლუზიური ხელმისაწვდომობა და არ აფერხებდეს ძირითადი სამედიცინო მომსახურების, სუფთა წყლის და სანიტარიის, ენერგიის, უსაფრთხო და ღირსეული სამუშაო პირობების მიღების/ქონის შესაძლებლობას, ასევე (თუ არ არის გათვალისწინებული შესაბამისი კომპენსაცია და / ან რეაბილიტაციის ზომები) მიწის უფლებებსა და განსახლებას;
- შეესაბამებოდეს მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებს ენერგოეფექტურობის მაქსიმიზაციისა და ნარჩენების წარმოების შემცირებისა და დამაბინძურებლების, სათბურის გაზების ემისიების ან კლიმატის ცვლილების სხვა გამომწვევი მიზეზების შესამცირებლად;
- ბუნებრივი რესურსების გონივრულად გამოყენება და თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან, მთავრობასთან და ჯგუფებთან, კლიმატურ ცვლილებასთან მიმართებაში;
- საერთაშორისოდ აღიარებული ბიზნესის საუკეთესო პრაქტიკისა და ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოზე უარყოფითი გავლენის მოხდენის შემცირების მიზნად დასახვა;
- ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების დაცვა მნიშვნელოვან რესურსებზე და ეკოსისტემებზე აქცენტირებით და ბიო ნაირსახეობისა და მრავალფეროვნების, ან პრიორიტეტული ეკოსისტემების მომსახურების პრინციპის - "არავითარი საერთო კარგვა" (NNL) გამოყენებით;
- მოქმედ ადგილობრივ კანონმდებლობასთან თანხვედრა.

3. პრინციპები და კარგი საერთაშორისო სამრეწველო/ინდუსტრიული პრაქტიკა

2021 წელს ჩვენ შევუერთდით გაეროს გლობალურ შეთანხმებას და შესაბამისად, ჩვენ მოწადინებული ვართ მხარი დავუჭიროთ 10 პრინციპს ადამიანის უფლებების, შრომის, გარემოს დაცვისა და ანტიკორუფციის შესახებ. ეს პრინციპებია:

ადამიანათა უფლებები

პრინციპი 1: ბიზნესი უნდა უჭერდეს მხარს და პატივს სცემდეს საერთაშორისოდ გამოცხადებულ ადამიანთა უფლებების დაცვას და

პრინციპი 2: უზრუნველყოს, რომ არ იყვნენ ადამიანთა უფლებების დამრღვევები.

შრომითი საქმიანობა

პრინციპი 3: ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს გაერთიანების თავისუფლებას და კოლექტიური შეთანხმების პირობებზე მოლაპარაკების უფლების ეფექტურ აღიარებას;

პრინციპი 4: იძულებითი და სავალდებულო შრომის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

პრინციპი 5: ბავშვთა შრომის აღმოფხვრა; და

პრინციპი 6: დისკრიმინაციის აღმოფხვრა დასაქმებასა და პროფესიაში.

გარემო

პრინციპი 7: ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს პრევენციულ მიდგომას გარემოსდაცვითი გამოწვევების მიმართ;

პრინციპი 8: გარემოსდაცვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების უფრო მეტი დახმარებისა და ხელშეწყობისთვის ინიციატივის აღება;

პრინციპი 9: გარემოსთვის არასაზიანო ტექნოლოგიების განვითარებისა და გავრცელების ხელშეწყობა.

ანტიკორუფცია

პრინციპი 10: ბიზნესმა უნდა იმუშაოს კორუფციის საწინააღმდეგოდ ყველა ფორმით, გამოძალვისა და მექრთამეობის ჩათვლით.

ENERGO-PRO მოწოდებულია აითვისოს საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) პოლიტიკა გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის და შესრულების სტანდარტებზე ყველა ჩვენს საქმიანობის ერთეულში/ნაწილში, რომელიც მოიცავს ბულგარეთს, კოლუმბიას, საქართველოს, ჩეხეთს, ესპანეთსა და თურქეთს.

- შესრულების სტანდარტი 1: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების შეფასება და მენეჯმენტი;
- შესრულების სტანდარტი 2.: შრომითი და სამუშაო პირობები;
- შესრულების სტანდარტი 3: რესურსების ეფექტურობა და დაბინძურების პრევენცია;
- შესრულების სტანდარტი 4: საზოგადოების ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და დაცვა;
- შესრულების სტანდარტი 5: მიწის შესყიდვა და არანებაყოფლობითი განსახლება;
- შესრულების სტანდარტი 6: ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა;
- შესრულების სტანდარტი 7: ძირძველი, ადგილობრივი მოსახლეობა;
- შესრულკების სტანდარტი 8. კულტურული მემკვიდრეობა.

ამასთან ერთად, ჯგუფმა მიიღო შემდეგი დამატებითი პრინციპები:

- ღირებულების უზრუნველყოფა ჩვენი პარტნიორებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის;
- იმ ცალკეული ქვეყნის კანონმდებლობასთან შესაბამისობა/მორგება, სადაც ვეწევით საქმიანობას და მრეწველობის კარგ საერთაშორისო პრაქტიკას (GIIP);

- დანერგილი მდგრადი განვითარება სტრატეგიული ბიზნესის გადაწყვეტილებებში, დაგეგმვა, დაპროექტება და საოპერაციო საქმიანობა;
- გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინება;
- ბიზნესის წარმართვა სამართლიანად და პატიოსნად;
- ჩვენი მდგრადი განვითარების პოლიტიკის გაცხადება/გამჟღავნება და კომპანიის აღმასრულებლების, ხელმძღვანელების, თანამშრომლების, კონტრაქტორებისა და ქვეკნტრაქტორებისთვის შესაძლებლობის მიცემა გაეცნონ წინამდებარე პოლიტიკას და დაიცვან და შეასრულონ მისი ვალდებულებები;
- მდგრადი განვითარების მიზნების დასახვა და ჩვენი მდგრადი განვითარების საქმიანობის უწყვეტი განვითარების მცდელობა;
- Commit to formal ESG/Sustainability reporting by 2022.
- 2022 წლისთვის ESG-ის ოფიციალური ანგარიშების სავალდებულო წარდგენა. /

4. მდგრადი განვითარების ვალდებულებები

პოლიტიკა აღწერს იმ წესებისა და პროცედურების ერთობლიობას, რომელიც მიმართულია ხელმძღვანელობის მხრიდან მდგრადი განვითარებისადმი ერთგულებაზე, კერძოდ: გარემოს და ბიომრავალფეროვნების დაცვის, კლიმატის ცვლილების, მოსახლეობის, კარგი მმართველობის და ადამიანური რესურსების მიმართ. აღნიშნული მდგრადი განვითარების ვალდებულებები ეხება ყველა ჩვენ საქმიანობას და წარმოადგენს სტრატეგიული გადაწყვეტის, პროექტის დიზაინის, მშენებლობისა და საოპერაციო ფაზებს. მდგრადი განვითარების პოლიტიკა გვავალდებულებს შემდეგი სახით:

მართვა/ხელმძღვანელობა

ჩვენ ვაღიარებთ მდგრადი განვითარების მნიშვნელობას მმართველობის ყველა დონეზე:

- ჩვენი მდგრადი განვითარების პოლიტიკის და ESG პოლიტიკების დამტკიცებისა და მიწოდების საბოლოო პასუხისმგებლობა ეკისრება აღმასრულებელ დირექტორს და ENERGO-PRO-ს დირექტორთა საბჭოს;
- ESG კომიტეტი, რომელიც იკრიბება წელიწადში ოთხჯერ, პასუხისმგებელია ჯგუფის პოლიტიკების განახლებაზე, მდგრადობისა და ESG ინტეგრაციაზე ბიზნესში და ყველა იმ საკითხის ზედამხედველობაზე, რომელიც ეხება მდგრადობას, ESG და სხვა პასუხისმგებლობებს, რომლებიც მითითებულია ჩვენს ESG პოლიტიკაში;
- გარემოსდაცვითი და სოციალური ჯგუფის ხელმძღვანელი უშუალოდ ექვემდებარება აღმასრულებელ დირექტორს და პასუხისმგებელია ჩვენს პორტფოლიოში არსებულ ყველა ESG და მდგრადობის საკითხების ზედამხედველობაზე, ეს მოიცავს მდგრადობისა და ESG მონიტორინგს და რეპორტინგს, მდგრადობის მარეგულირებელ და გლობალურ ტენდენციებს და მათ შედეგებს, ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარებას, ჯგუფის ყოველწლიური რისკის შეფასებას,

საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას და კულტურული ცვლილებების ხელშეწყობას სხვა პასუხისმგებლობებთან ერთად;

- აღმასრულებელი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ლიდერობისა და ერთგულების დემონსტრირებაზე მდგრადი შედეგების მისაღწევად, გამოიყენონ ჩვენი მდგრადობის პოლიტიკა, პრინციპები, წესები და სტანდარტები გადაწყვეტილების მიღებისას რესურსების განაწილებისას და წვლილი შეიტანონ ჯგუფის მდგრადობისა და ESG რისკების ყოველწლიურ შეფასებებში;
- აღმასრულებელი ხელმძღვანელობა და დეპარტამენტის მენეჯერები პასუხისმგებელნი არიან, რომ უზრუნველყონ მდგრადი შედეგების მიღწევა და მდგრადობის პოლიტიკის, პრინციპების, წესებისა და სტანდარტების გამოყენება და შესაბამისი ზომების მიღება, რათა სამუშაო ძალა, კონტრაქტორებისა და ქვეკონტრაქტორების ჩათვლით, შეესაბამებოდეს პოლიტიკის მოთხოვნებს, გარკვეული და გასაგები იყოს ESG რისკები და მათი მინიმიზაციისთვის მიღებულ იქნას შესაბამისი ზომები;
- პერსონალი პასუხისმგებელია ყოველდღიურ საქმიანობაში და გადაწყვეტილების მიღებისას მიმართოს მდგრადი განვითარების პოლიტიკისა და პრინციპების გამოყენებას, რათა მინიმუმანდე იქნას შემცირებული მდგრადობისა და ESG რისკები;
- თანამშრომლებს მოეთხოვებათ ხელი შეუწყონ სამუშაო გარემოს, რომელიც განაპირობებს მდგრადი განვითარების მუდმივ გაუმჯობესებას;
- ამ პოლიტიკის დანერგვის პარალელურად განვიხილავთ აღმასრულებლების, მენეჯერების და გენერალური მენეჯერების ხელფასების და სამუშაო პერფორმანსის კავშირს მდგრადობის პოლიტიკასთან.

გარემო და ბიომრავალფეროვნება

ჩვენ ვაღიარებთ გარემოსა და ბიომრავალფეროვნებაზე ზრუნვას, როგორც ჩვენი ბიზნესის განუყოფელ ნაწილს და მიზნად ვისახავთ შევინარჩუნოთ ბუნებრივი გარემო, რომელსაც ჩვენი საქმიანობით შესაძლოა მიადგეს ზიანი. ჩვენ:

- დავნერგავთ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემებს (ESMS) და ISO სერთიფიკატს ჩვენს ყველა ბიზნეს ერთეულში;
- შევიტანთ გარემოსდაცვით და ბიომრავალფეროვნების რისკებს ჩვენი რისკების გამოვლენისა და შემსუბუქების უფრო ფართო პროცესებში;
- ინტეგრირებას მოვახდენთ ბიომრავალფეროვნების, ბუნებრივი გარემოსა და ეკოსისტემების დაცვის, როგორც საკვანძო ასპექტს მდგრადი განვითარებისთვის დიზაინისა და პროექტების განხორციელებისას;
- წავახალისებთ / მხარს დავუჭერთ სამუშაო ძალას გარემოსდაცვითი ინციდენტების შემთხვევების რეპორტინგში და განვახორციელებთ დროულ გამოძიებას, გამომასწორებელ ქმედებებს და მივიღებთ შესაბამის ზომებს, რომ თავიდან ავიცილოთ მსგავსი ინციდენტების განმეორება;
- მონიტორინგს გავუწევთ GIIP ვალდებულებებთან შესაბამისობას;
- გავაკონტროლებთ წყლის მოხმარების, ნარჩენების წარმოქმნის, მათ შორის სახიფათო ნარჩენების, ჩამდინარე წყლებისა და ენერგიის მოხმარების მონიტორინგს და მივიღებთ ზომებს დანახარჯის შესამცირებლად;
- რეგულარულად ჩავატარებთ ჰაერის ხარისხისა და ხმაურის მონიტორინგს და მივიღებთ ზომებს ემისიების შესამცირებლად;

- დავისახავთ მიზნებს გარემოსდაცვითი და ბიომრავალფეროვნების მუშაობის მუდმივი გაუმჯობესებისთვის, მონიტორინგის ქვეშ მყოფი აქტივების ხანდაზმულობისა და დიზაინის გათვალისწინებით;
- ჩამოვაყალიბებთ სტრატეგიებს ბუნებრივი რესურსების, მათ შორის მიწის ნაკვეთების, მაქსიმალური ეფექტურობის გასაუმჯობესებლად;
- გავაკონტროლებთ ბიომრავალფეროვნების, ეკოსისტემებისა და ბუნებრივი გარემოს გაუმჯობესების პროგრამების განხორციელებას;
- მოვერიდებით ნარჩენების არასაჭირო გამოყენებას, მივმართავთ განმეორებით გამოყენებას ან გადამუშავებას, სადაც ეს შესაძლებელია და აგრეთვე უპირატესობას მივანიჭებთ ყველაზე დაბალი ზემოქმედების მქონე ტექნიკას, რამდენადაც ეს შესაძლებელია;
- შევეცდებით გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებას, მინიმიზაციას და/ან აღდგენას. ჩვენ განვიხილავთ კომპენსირებას მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოყენებული იქნება სათანადო თავიდან აცილების, მინიმიზაციისა და აღდგენის ზომები;
- დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, მოვახდენთ დაზიანებული მიწისა და სხვა ბუნებრივი გარემოს რეაბილიტაციას და აღდგენას თავდაპირველ, ან სამშენებლო ადგილმდებარეობასთან ახლოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

კლიმატის ცვლილება

ჩვენ:

- შევასრულებთ ყველა სავალდებულო კანონს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით და ვითანამშრომლებთ პარტნიორებთან გლობალური კლიმატის პირობების გასაუმჯობესებლად;
- გვესმის ჩვენი გარდამავალი და ფიზიკური კლიმატის რისკები და შევიმუშავებთ და გავნახორციელებთ გლობალური კლიმატის ცვლილებისადმი მდგრად სტრატეგიას;
- ვიღებთ ვალდებულებას მივაწოდოთ ანგარიში GHG ემისიების შესახებ, დავსახავთ მეცნიერებაზე დაფუძნებულ მიზნებს და ვიმუშავებთ ჩვენი საქმიანობისა და ოპერაციების დეკარბონიზაციის მიმართულებით.

ადგილობრივი მოსახლეობა

ჩვენ კარგად გვესმის სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის დახმარების გაწევის მნიშვნელობა იქ სადაც ჩვენ ვმოღვაწეობთ. ჩვენ:

- ჩავდებთ სოციალურ რისკებს ჩვენ ფართო სახის რისკის იდენტიფიკაციისა და შემსუბუქების პროცესებში;
- პროექტების შემუშავებისა და განვითარების პროცესში, მაქსიმალურად ვეცდებით თავიდან ავიცილოთ და/ან მინიმუმამდე დავიყვანოთ მოსახლეობის მიწაზე და აქტივებზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე და არქეოლოგიურ ობიექტებზე ზემოქმედების მოხდენა, რამდენადაც ეს შესაძლებელია;
- მოვთხოვთ ჩვენს ყველა ბიზნეს ერთეულს საჩივრების/პრეტენზიების მექანიზმის პროცედურის შექმნას, რათა მიიღონ და უზრუნველყონ დაინტერესებული მხარეების პრობლემების მოგვარება;
- ვუზრუნველყოფთ და მხარს დავუჭერთ სამუშაო ძალას გაამჟღავნოს ყველა სოციალური შემთხვევა, საჩივარი/უკმაყოფილება და განვახორციელოთ დროული გამოძიება,

გამოსასწორებელი ქმედებები და მივიღოთ შესაბამისი ზომები ხელახალი შემთხვევის თავიდან ასაცილებლად;

- მოსახლეობასთან, მთავრობასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, მაქსიმალურად ვეცდებით განვავითაროთ კონსერვაციის პროგრამები, რომლებიც ფოკუსირებულია საზოგადოების საარსებო წყაროებზე, მდგრად ტყეებსა და ეკოსისტემებზე;
- ხელს შევუწყობთ ღია, გამჭვირვალე, ინკლუსიური და კონსტრუქციულ ჩართულობას საზოგადოებასთან, განსაკუთრებით მანდილოსნებს, ასაკოვან ხალხს და დაუცველ ფენას ყველა ასპექტში, რომელიც ეხება მათ და კავშირშია გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობასთან;
- მიზნად დავისახავთ კონსულტაციას საოპერაციო პროექტების დიზაინისა და დაგეგმვის ფაზაში, მათ შორის სოციალური და/ან გარემოსდაცვითი მართვის პროგრამების შემუშავებისას. კონსულტაცია ჩატარდება მონაწილეობითი წესით და მისაღები ფორმით;
- განახორციელოს ადგილობრივი საშუალებებით მიღწევები და სადაც შესაძლებელია უზრუნველყოს, რომ პერსონალმა და კონტრაქტორებმა განახორციელონ მიზნები ადგილობრივ სამსახურში დაქირავებასთან, სწავლებასთან და ადგილობრივ შესყიდვებთან დაკავშირებით;
- მივიღოთ ვალდებულება გამოიყენოს ადამიანის უფლებების თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის (FPIC) პრინციპი, თუ მოქმედებს ძირძველი მოსახლეობის (IP) გავლენის არეალში და ააქტიურებს ადგილობრივ კანონმდებლობას IP-სთან დაკავშირებით.

მართვა/ხელმძღვანელობა

ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას შესაბამისობაში მოვიდეთ აუცილებელ კანონებთან და ვაწარმოოთ ბინესი ეთიკური და გამჭირვალე გზით.

- არავითარი დაშვება/ნების დართვა აღმასრულებლების, პერსონალის და კონტრაქტორების მიერ კორუფციის რაიმე ფორმაზე და არაეთიკურ ქმედებაზე;
- ინფორმირებულობის ამაღლება კორუფციისა და არაეთიკურ ქმედებაზე ყველა სამუშაო ძალის, კონტრაქტორისა და მომწოდებლის მიმართ;
- პატიოსნების და სამართლიანობის უმაღლესი სტანდარტების გამოყენება ჩვენი საქმიანობის პარალელურად ყველა ბიზნეს გარიგებაში, მთავრობასთან, პარტნიორებთან და საზოგადოებასთან;
- იმ კანონების დაცვა, რომელიც მიზნად ისახავს კორუფციასთან და მექრთამეობასთან ბრძოლას;
- პერსონალის და კონტრაქტორების წახალისება ყველა საეჭვო ქმედების გაცხადებისთვის რომელიც მექრთამეობას და ან კორუფციას ეხება;
- შესაბამისობაში მოსვლა შესაბამის გარემოსდაცვით და სოციალურ კანონმდებლობასთან, როგორც შესრულების მინიმუმი დონე და ყველა მოთხოვნილი დაშვების არსებობის უზრუნველყოფა;
- არანაირი შეწირულობის გაღება პოლიტიკურ პარტიებსა და ორგანიზაციებზე.

ადამიანური რესურსები

ჩვენ ვაღიარებთ პოზიტიური სამუშაო კლიმატის შექმნისა და შენარჩუნების მნიშვნელობას. ჩვენ ჩვენი ძალისხმევით ვეცდებით მოვიზიდოთ მაღალი კვალიფიციური თანამშრომლები და ვუზრუნველყოთ, რომ ყველა თანამშრომელი და კონტრაქტორი მუშაობდეს უსაფრთხო გარემოში და იყვნენ მოპყრობილი პატივისცემითა და სამართლიანობით. კომპანიამ და კონტრაქტორებმა უნდა:

- პატივი სცენ პრინციპებს, რომელიც აღიარებულია ადამიანთა უფლებების უნივერსალური დეკლარაციით, უსაფრთხოებისა და ადამიანთა უფლებების ნებაყოფლობითი პრინციპებით, საერთაშორისო შრომითი ორგანიზაციის დეკლარაციით, რომელიც ეხება ფუნდამენტურ პრინციპებს, უფლებებს და შრომას;
- პატივი სცენ აუცილებელ კანონებს, რომელიც ეხება თანამშრომლებს თანაბარი შესაძლებლობების გარანტირებით, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე პოლიტიკურ კავშირებზე, ეროვნებაზე, ასაკზე, სქესზე, რასაზე, ეთნიკურობასა და სექსუალურ ორიენტაციაზე დაყრდნობით;
- პატივი სცენ აუცილებელ კანონებს თანამშრომელთა უფლებებზე შეუერთდნენ და/ან გაერთიანდნენ მომუშავეთა პროფესიულ კავშირში და კოლექტიურ მოლაპარაკებებში;
- განსაზღვრონ პოლიტიკა და საქმიანობა სამუშაო სტაჟის ბალანსირების დასახმარებლად და იმ სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა, რომელიც არის უსაფრთხო და დაცული, თავისუფალი ზიანის და ძალადობისგან;
- მხარი დაუჭირონ პროფესიონალური განვითარების მომზადების/სწავლების ინიციატივებს და სრულყონ თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- აკრძალონ ძალადობრივი, დაკავშირებული ან ბავშვთა შრომის გამოყენება ყველა ჩვენ საქმიანობაში/ოპერაციაში;
- მხარი დაუჭირონ/წაახალისონ ჩართულობაზე და მრავალფეროვნებაზე სამუშაო ძალაში;
- განსაზღვრონ, პრევენცია მოახდინონ, შეამსუბუქონ და განაცხადონ შრომითი სტანდარტის ნებისმიერ რეალურ ან პოტენციურ დარღვევაზე;
- განახორციელონ და წარმოადგინონ თანამშრომლის საჩივრის მექანიზმი;
- სამსახურში აიყვანოს და წაახალისოს მომუშავე პერსონალი დამსახურებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით;
- მოეპყროს /მოექცეს ყველა მუშა ძალას პატივისცემით და არ დაუშვას სექსუალური ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგის ან დარღვევის რაიმე ფორმა;
- გაზარდოს სამსახურში აყვანის შესაძლებლობები და ფუნქციონალური აქტიურობა ადგილობრივი მოსახლეობის/საზოგადოებისა და რეგიონის დონეზე;
- აღიაროს ჩვენი პერსონალის, კონტრაქტორების და ქვეკონტრაქტორების პასუხისმგებლობა ადამიანთა უფლებების პატივისცემაზე როგორც გარემოს დაცვის, სოციალური და მართვის და მდგრადი განვითარების ერთი მთლიანი განუყრელი ნაწილი;
- შექმნან ძლიერი ბრენდი მოქნილი ერთობლივი კულტურის შენებით და თანამშრომელთა ჩართულობით ENERGO-PRO–ს ოპერაციების პარალელურად.

5. განაწილება

აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია კომპანიის ვებ-გვერდზე, კომბინირებული ბიზნესის შერჩეული სტანდარტული ვადებითა და პირობებით, და შესაძლებელია მიმოხილული იქნეს კომპანიის აღმასრულებელების, ხელმძღვანელების, თანამშრომლების, კონტრაქტორებისა და ქვეკონტრაქტორების მიერ. ეს პოლიტიკა რეგულარულად გადაიხედება და განახლდება პარტნიორებისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

6. ძალაში შესვლა

წინამდებარე პოლიტიკის ვერსია ძალაში შედის 2023 წლის 30 ნოემბრიდან და მთლიანად ანაცვლებს პოლიტიკის ძველ ვერსიას.